<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N31, 03.11.2009, მუხ.190) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-3 მუხლი მე-7 ნაწილის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 ნაწილი:**

„7^1. პროცესუუნარო პირი - ბრალდებული, რომელსაც ფსიქიკური აშლილობის გამო უნარი არ შესწევს შეასრულოს ისეთი საპროცესო მოქმედება, რომელიც მისი უშუალო მონაწილეობით უნდა განხორციელდეს.“.

2. 167-ე მუხლის მე-2 ნაწილის დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:
„ე) თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შერაცხადი იყო, მაგრამ მისი ჩადენის შემდეგ შეურაცხობის გამო იგი პროცესუუნარო გახდა“.

3. 191-ე მუხლს მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1-3^6 ნაწილები:
„3^1. თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შერაცხადი იყო, მაგრამ მისი ჩადენის შემდეგ შეურაცხაობის გამო იგი პროცესუუნარო გახდა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს მსჯავრდებულის მიერ შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე მოთავსებას, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.

3^2. თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა, რის გამოც იგი პროცესუუნარო გახდა, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე მოსამართლე „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მკურნალობის მიზნით, არ იწყებს ან აჩერებს საქმის არსებით განხილვას 3 თვით.
3^3. მოსამართლე ამ მუხლის 3^2 ნაწილით გათვალისწინებულ შუამდგომლობას წყვეტს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. სასამართლო აღნიშნულ განჩინებას უგზავნის მხარეებს, აგრეთვე სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, თუ ბრალდებულის

მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა. განჩინებაში მოსამართლე ასევე უთითებს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოსათავსებელი პირის სახელს, გვარს და საპროცესო მდგომარეობას. აგრეთვე, სამედიცინო დაწესებულების დასახელებას, რომელშიც პირი თავსდება.

3^4. შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე, საჩივრის შეტანიდან არაუგვიანეს 48 საათისა. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინება დაუყოვნებლივ ეგზავნება მხარეებს და გასაჩივრებული განჩინების გამომტან მოსამართლეს.

3^5. საქმის არსებითი განხილვა დაიწყება/განახლდება, „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე გამოტანილი შემოწმების შედეგების (დასკვნის) საფუძველზე დადგინდება, რომ ბრალდებული ამ მუხლის 32 ნაწილით გათვალისწინებულ განჩინებაში მითითებულ ვადაში პროცესუნარიანი გახდა, ანდა გასულია ამ მუხლის 33 ნაწილით გათვალისწინებულ განჩინებაში მითითებული ვადა.

4. 205-ე მუხლს მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1-3^2 ნაწილი:

„3^1. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პატიმრობის ვადის დინება არ შეჩერდება თუ ბრალდების მხარის ინიციატივით, საქმის არსებითი განხილვის ეტაპი არ დაწყებულა ან შეჩერდა ამ კოდექსის 191-ე მუხლის 3^2 ნაწილით გათვალისწინებული წესით.

3^2. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პატიმრობის ვადის დინება შეჩერდება თუ დაცვის მხარის ინიციატივით, საქმის არსებითი განხილვის ეტაპი არ დაწყებულა ან შეჩერდა ამ კოდექსის 191-ე მუხლის 3^2 ნაწილით გათვალისწინებული წესით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**